



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011772046632220

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

301002

03 / სექტემბერი / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 323859/17; თარიღი: 01.09.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: შპს „ეს დეველოპმენტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 01019018751) წარმომადგენელი რუსუდან ლუაშვილი (პირადი ნომერი 36001048521).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებები: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020493999-03 (04.08.2020), №882020493840-03 (04.08.2020) და №882020493840-09 (17.08.2020) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020493999-03 (04.08.2020), № 882020493840-03 (04.08.2020) და № 882020493840-09 (17.08.2020) გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი, გიორგი აბაშვილის ქ. №19.

ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული დაინტერესებული პირი: ნათია ბერია (პირადი ნომერი 01019060129).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება; ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში; ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

№ 323859/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემომწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს წარმობაში შპს „ეს დეველოპმენტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 01019018751) წარმომადგენლის რუსუდან ლუაშვილის (პირადი ნომერი 36001048521) № 323859/17 (01.09.2020) ადმინისტრაციული საჩივარი.

2. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს: ნათია ბერიას (პირადი ნომერი 01019060129) და ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს.

3. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა ანარმოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.


4. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

5. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად 

ვახტანგ ბოხაშვილი